

თინათინ დვინაძე

კაუზატივის ფორმათა მართლწერისათვის თანამედროვე სალიტერატურო კართულში

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში კაუზატივის ფორმები ზმნისა იწარმოება მარტივი -ინ და რთული -ევ-ინ სუფიქსებით. -ინ სუფიქსი კაუზატივის მაწარმოებლად შედარებით ახალია და მომღინარეობს -ენ-ისაგან (წევს — ა-წვ-ენ-ს). რთული -ევ-ინ სუფიქსი კი მიღებულია ძველ -ევ სუფიქსზე (რომელიც შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ზმნაში: აჭმევს, ასმევს, აცმევს...) -ინ სუფიქსის დართვით¹.

დასახელებულ სუფიქსთაგან კაუზატიურ ფორმათა საწარმოებლად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უფრო ხშირად -ინ სუფიქსი იხმარება, -ევ-ინ სუფიქსის გამოყენების არე შეზღუდულია.

-ინ სუფიქსით იწარმოება კაუზატივის ფორმები ყველა ზმნისა, რომელთა აწყვის ფუძეში ხმოვანი მოიპოვება. ასეთი ზმნები ქართულში უფრო მეტია ფუძერედუცირებულ ზმნებთან შედარებით².

-ევ-ინ სუფიქსით იწარმოება კაუზატივის ფორმები ისეთი ზმნებისა, რომლებსაც აწყვის ფუძეში ხმოვანი საერთოდ არა აქვთ ან ეკარგვით დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმებსა და მასდარში.

სხვაგვარად, -ინ სუფიქსით იწარმოება კაუზატივის ფორმები -ებ,

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1943 წ., გვ. 348-349; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953 წ., გვ. 369-371, 416-417; 1973 წ., გვ. 360-361, 407-408; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950 წ., გვ. 059, 061; ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.

2 ფ. ერთეული შვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970, გვ. 267.

-ობ, -ოფ, -ემ სუფიქსიანი და ერთოებიანი (აგრეთვე ფუძედრეკა-დი) ზმნებისა. -ავ და -ი სუფიქსიან ზმნათაგან -ინ სუფიქსს იყენებენ მხოლოდ ის ზმნები, რომლებსაც აწმყოს ფუძეში ხმოვანი აქვთ.

ა-შენ-ებ-ს	ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს
ა-თბ-ობ-ს	ა-თბ-ობ-ინ-ებ-ს
ყ-ოფ-ს	ა-ყ-ოფ-ინ-ებ-ს
გა-ს-ც-ე-მ-ს	გა-ა-ც-ემ-ინ-ებ-ს
ტეხ-ს	ა-ტეხ-ინ-ებ-ს
და-ს-ძლ-ევ-ს	და-ა-ძლ-ევ-ინ-ებ-ს
ი-თმ-ენ-ს	ა-თმ-ენ-ინ-ებ-ს
დრეკ-ს	ა-დრეკ-ინ-ებ-ს
ხატ-ავ-ს	ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს
გზავნ-ი-ს	ა-გზავნ-ინ-ებ-ს...

ასევე იქნება თხოვნა ტიპის ზმნები: ა-თხოვნ-ინ-ებ-ს, ა-შოვნ-ინ-ებ-ს, ა-პოვნ-ინ-ებ-ს...

-ევ-ინ სუფიქსით იწარმოება კაუზატივის ფორმები ყველა -აშ სუფიქსიანი ზმნისა და -ავ და -ი სუფიქსიანთაგან ისეთებისა, რომ-ლებსაც აწმყოს ფუძეში, ან საერთოდ, არა აქვთ ხმოვანი.

დგ-ამ-ს	ა-დგ-მ-ევინ-ებ-ს
ა-ბ-ამ-ს	ა-ბ-მ-ევინ-ებ-ს
რგ-ავ-ს	ა-რგ-ვ-ევინ-ებ-ს
რწყ-ავ-ს	ა-რწყ-ვ-ევინ-ებ-ს
წვ-ავ-ს	ა-წვ-ევინ-ებ-ს
ხნ-ავ-ს	ა-ხვნ-ევინ-ებ-ს
ზრდ-ი-ს	ა-ზრდ-ევინ-ებ-ს
მქ-ი-ს	ა-მქ-ევინ-ებ-ს...

როგორც ჩანს, კაუზატივის მაწარმოებლების განაწილება ზმნა-თა ფუძეების მიხედვით მყარად განსაზღვრულია და ნათელი³.

კაუზატივის მაწარმოებლები ხმოვნით დაწყებული სუფიქსებია და იწვევენ ზმნის ფუძის იმგვარსავე ცვლილებებს, როგორიც ზღება ფუძეში მასდარის მაწარმოებელი -ა სუფიქსის დართვის შე-დეგადაც.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საჭუდვლები, 1953 წ., გვ. 417-418; 1973 წ., გვ. 407-408; ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, IV, 1974, გვ. 9.

კაუზატივის მაწარმოებლების დართვის გამო თემისნიშნისეული ხმოვანი იკარგება:

ხატ-ავ-ს	ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს
დგ-ამ-ს	ა-დგ-მ-ევინ-ებ-ს...

ზმის შეკუმშულ ფუძეში თემისნიშნისეული ვ ბგერა გადაისმის, როცა საამისო ფონეტიკური გარემოცვაა:

ქლ-ავ-ს	ა-ქლ-ევინ-ებ-ს
მარგლ-ავ-ს	ა-მარგვლ-ინ-ებ-ს
ხნ-ავ-ს	ა-ხვნ-ევინ-ებ-ს
ნიშნ-ავ-ს	ა-ნიშვნ-ინ-ებ-ს
ქრ-ავ-ს	ა-კვრ-ევინ-ებ-ს
ჩაგრ- ავ-ს	ა-ჩაგვრ-ინ-ებ-ს...

ზოგჯერ თემისნიშნისეული ვ სულაც არ ჩანს ფუძისეულ ვ ბგერასთან მეზობლობაში:

წვ-ავ-ს	ა-წვ-ევინ-ებ-ს
ფქვ-ავ-ს	ა-ფქვ-ევინ-ებ-ს
ნასკვ-ავ-ა	ა-ნასკვ-ინ-ებ-ს
მარცვლ-ავ-ს	ა-მარცვლ-ინ-ებ-ს
საზღვრ-ავ-ს	ა-საზღვრ-ინ-ებ-ს...

უჩინარდება აწმყოს ფუძისეული -ი სუფიქსი:

გზავნ-ი-ს	ა-გზავნ-ინ-ებ-ს
ზრდ-ი-ს	ა-ზრდ-ევინ-ებ-ს...

თანამედროვე ქართულში კაუზატივის ფორმები მხოლოდ -ებ თემისნიშნიანებია. როცა ამოსავალი ზმნა თვითონაც -ებ ნიშნიანია, კაუზატივის ფორმაში -ებ სუფიქსი მეორდება. ასეთ ზმნათა მართლწერის დარღვევა მოსალოდნელია უმეტესად დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებში, როცა -ინ დაბოლოებაც მეორდება II თურმეობითსა და III კავშირებითში⁴. სალიტერატურო ფორმებია:

ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს	გა-უ-კეთ-ებ-ინ-ებ-ი-ა
	გა-ე-კეთ-ებ-ინ-ებ-ი-ა
	გა-ე-კეთ-ებ-ინ-ებ-ინ-ო-ს

⁴ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970, გვ. 218-219.

ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს

ა-უ-შენ-ებ-ინ-ებ-ი-ა

ა-ე-შენ-ებ-ინ-ებ-ინ-ა

ა-ე-შენ-ებ-ინ-ებ-ინ-ო-ს...

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

... ბევრს ვეცადენით დაგვეგდებინებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდით (ვაჟა).

ფაქტობდნენ ისეთი რა ხერხი მოეგონებინათ, რომ სოლომონასათვის ის უხეირო აზრი თვითდან ამოე ღებინებინათ (ს. მგალ).

ამ გარემოებამ ყიდვე უფრო შემიწყო ხელი X კლასში მოსწავლეებისათვის ღრმად შემოვისებინებინა ქიმიის კურსიდან თემა „სილიკატური მრეწველობა“ („სახ. განათლ.“).

კაუზატიური ფორმების წარმოების თვალსაზრისით ერთგვარი მდგომარეობა არაა ქართული ენის დიალექტებში. დიალექტების ერთ ნაწილში ძევლი ქართულის ვითარებაა დაცული და კაუზატიურის ძირითად მაწარმოებლად გვევლინება -ევ (→-ივ→-ი) სუფიქსი.

-ინ სუფიქსიც დიალექტებში ხშირად მხოლოდ ხმოვნითაა წარმოდგენილი. მაშინადამე, კაუზატივის მაწარმოებელი ორივე სუფიქსი შეიძლება მხოლოდ -ი ხმოვნით იყოს წარმოდგენილი:

-ევ→-ივ→-ი
-ინ→-ი

ამიტომ ზოგჯერ კაუზატივის აწმყოს ფუძის -ი-ებ დაბოლოებას ზოგი დიალექტის მიხედვით -ივ-ებ-ისაგან წარმოდგარად ვარაუდობენ.

• დიალექტებში სხვადასხვავარი ფორმით გვხვდება კაუზატივის მაწარმოებელი რთული სუფიქსი. ზოგ დიალექტში გვაქვს

5 გ ე დ. კ ვ ე რ ე ნ ჩ ი ლ ა ძ ე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში, თსუ სტუდენტთა შრომების კრებული, I, 1941, გვ. 204-210; ა. ჭინჭარაშვილი, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 146-147; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშური კილო, თბილისი, 1960, გვ. 55-56.

6 თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56; ვ. კახაძე, კაუზატივის წარმოებისათვის ქვემომერულში: თსუ სტულ. მე-14 კონკ., 1952, ოეზისები, გვ. 73-74; მისივე, შუალობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1971, № 2, გვ. 57-59.

7 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953 წ., გვ. 417; 1973 წ., გვ. 407; ლ. კიკაძე, შუალობითი კონტაქტის ფორმები ხევსურულში, ძველი ქართული ენის კათელრის შრომები, თბ., 1977.

-ე-ინ ფორმით⁸, ზოგში კი — -ევ-ი ფორმით⁹. პირველ შემთხვევაში დაკარგულად იგულისხმება -ევ სუფიქსის -ვ- თანხმოვანი, მეორე ფორმა კი ახსნილია -ევ-ივ რთული სუფიქსისაგან მომდინარედ და, მაშასადამე, დაკარგულად ისევ -ვ- თანხმოვანი ივარაუდება. კერძო და ძალიან საინტერესო საკითხია ამის გამოკვლევა და იმის დადგენა, თუ რატომ და როდისღა დამკვიდრდა ამ რთული სუფიქსის შემადგენელ ნაწილად -ინ სუფიქსი.

ფაქტია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმად -ევინ სუფიქსიანი ფორმებია მიჩნეული. ესაა საფუძველი, როცა კაუზატივის ფორმათა მართლწერის საკითხებზე კლაპარაკობთ.

კაუზატიურ ფორმათა წარმოების ღიალექტური სხვადასხვაობა ასახულია მწერლობაშიც. ერთი მხრივ, მე-19 საუკუნის მწერალთა (ილიას, აკაკის, ვაჟას, დ. კლდიაშვილის, ეგნ. ნინოშვილის, ს. მგალობლიშვილის...) ნაწერების და, მეორე მხრივ, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშების ენაზე დაკვირვება ცხადს ხდის, რომ კაუზატივის ღიალექტური ფორმები გამოიყენება არა მარტო პერსონაჟთა მეტყველებაში, არამედ იჭრება ავტორთა ენაშიც და, ამდენად, შეიძლება მოცილედ გაუჩნდეს სალიტერატურო ფორმებს. მაგალითად, ამ ორმოცდათორილე წლის წინათ სილ. ხუნდაძემ ყურადღება გაამახვილა საკითხზე — მაწყენინა უნდა იხმარებოდესო თუ მაწყენია — და უნარო ფორმას, მაწყენია-ს დაუჭირა მხარი¹⁰.

ღლევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში კაუზატიურ ფორმათა მართლწერის საკითხი თითქოს უფრო ნათელია: გარკვეულია, რა შემთხვევებში გამოიყენება -ინ და რა შემთხვევებში — -ევ-ინ. კაუზატივის ფორმათა მართლწერის დარღვევის შემთხვევაშიც ვიცით, როდის უნდა იყოს -ინ სუფიქსიანი ფორმა და როდის — -ევ-ინ სუფიქსიანი. მაგრამ დარღვევები მაინც გვხვდება და

⁸ ექვ. გვ. 370; ვ. თ თ ფურია, ქართლური, „არილი“, თბილისი, 1925, გვ. 135; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953 წ., გვ. 370; 1973 წ., გვ. 361.

⁹ გე. კვერენტისლაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 205; ვ. კახაძე, შეალბითი კონტაქტის წარმოება ქართულ ღიალექტებში, გვ. 57-58; ა. ჭინჭარაული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 145-146.

¹⁰ სილ. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 22.

ამიტომ არის, რომ ამ საკითხზე არაერთგზის გამახვილებულა ყურადღება¹¹.

1. თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურისა და პრესის ენაში ჯერ კიდევ გვხვდება კაუზატივის -ინ თუ -ებ-ინ სუფიქსიანი ფორმები უნაროდ. მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი დიალექტური ფორმები უმთავრესად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება, მაგრამ ხშირად ავტორის ენაშიც მოიპოვება.

მე-19 საუკუნის მწერლობის ენაში ხშირია კაუზატივის უნაროვორმები:

მეტი რა მინდა, რომ ჩემი სახელი ლოცვით მოვახსენებით შენისთანა კაი კაცა (ილია).

დიდებულად გაჩალებულ სახლის წინ ამომაყოფია თავი (აკაკი).

ბატონშაც კოლოტებით ლვინის მაგიერ ათი კოკა წყალი გამოიტანია და ჩაასხმევინა ჭურში (აკაკი).

მამაშენმე კი ბევრებრ აკვნეტია თითო ქვეყნის მტერსა (აკაკი).

ქეოვენს დატოვებია თავისი განზრავა (ე. ნინ.).

ჩენი ესიკის ბიჭს ვაკითხვიე ამბავი (ე. ნინ.).

ამნირ შემთხვევამ შემომადგმევია ფეხი თქვენს ოჯახში (დ. კლდ.).

შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცალი (დ. კლდ.).

დევებს მუცელა გზაში არც ბედაურზე შეუსვამთ, არც კარაზე, ისე ფეხდაფეხ მიარებენიებდნენ (ვაჟა).

მსგავსი ფორმები გვხვდება თანამედროვე მწერლობის ენაშიც:

-ია ლაბოლოების მაგიერ უნდა -ინა:

სიმონში მუშას კარი გააღებია (ხ. კლდ.).

სიხარულმა შეუქრა ალბათ სუნთქვა და ხმა ალარ ამოაღებია (ედ. უაფ.).

სოფია ინდრევენმ დაგვათვალიერებია მისგან მოწყობილი ესენინის ჯერ გაუხსნელი მუზეუმი (ტ. ტაბ.).

სიზარმაცემ და ლოთობამ სანახვეროლაც ვერ გაანალდებია მათში არსებული შესაძლებლობა (ტ. ტაბ.).

ორ საათში იმდენი თვეზი დაჭირია, რამდენიც მათ თვეობით არ დაუშერიათ (ტ. ტაბ.).

მწერლის სიყვარულმა, მეგობრების პატივისცემამ შემოანახვია ისინი („ლიტ. საქ.“).

ლევანმა ხმა ჩააკმენდდია (დ. ჯავახ.).

ახლა ერთი კარგი სიმღერაც რომ მომასმენია. — ინატრა მან (ზ.ბარათ.).

ის ახალთახალი უღელი რამ გაგარენია? (ო. თოხ.).

დავით დადანმა უმეთაურა და თბილისში გადაწერია და ათარგმინია პლუტარქის „ცხოვრების აღწერანი“ (ხ. ჭილ.).

11 ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965, გვ. 85; გ. შალამბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1964, გვ. 50-51; მისიერ, შუალობითყონტაქტიან ფრამათა წარმოების საკითხები, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბ., 1968, № 1, გვ. 14-15.

-იებ — -ინებ; -იე — -ინე:

რატომ ა ლა ან ძღვიებ ოქას? (ს. ჭლდ.).

წვადს შევაწვევიებ ჩუმად გზაში (რ. ჭეიშვ.).

ჩემს რეცენზიას გამოვაგზავნიებო (ს. ხუნდ.).

რა მიმარბენიებ ბლა (ნ. მიწიშვ.).

სოფლელებიც წამოეშველებოდნენ და ქურდებს სულ კუდით ქვას ასროლიებდნენ (უ. ზარეკ.).

ჩუმად დავიძარებდი, ჯერ სახარჭოს მოვატანიებდი და უემდეგ მათრახით ზურგს ავულილებდი (ხ. ზანშ.).

კეხში სევერიანე ჭიქიას მოჯამაგირედ ვიყავი, ღუქანს მახვეტიებდი ა (ზ. გარიყ.).

ავტბუსინ, ასე უნდა-თქვა და ვერ გავაგებიე ვერაფერი (რ. ჭეიშვ.).
გაგიმარჭოს, ოლიოშა! დაგვალევიე თითო ჭიქა! (რ. ჭეიშვ.).

-იო — -ინო:

ფეხით არავის გავათე ლვიო და არც ვათქმევინო, წახდა, დაეცაო...
(ი. ლის.)

ამაყია ჩემი მაკა და არაფერი ვაწყენიო (ო. იოს.).

ჰაი, თუ შენი ხელით არ ამოვატანიო შენი მანქანის გასაღები?

(გ. ხორგ.).

მას გად მოვატანიოთ ეტლიდან შენი ბარგი (ნ. მიწიშვ.).

როგორც ვხედავთ, -ევ-ინ და -ინ სუფიქსთა უნარო არალიტერატურული სახეობები საქმაოდ ხშირად იჩენს თავს, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში. ეს გარემოება ასუსტებს თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ნორმად მიჩნეულ გააღებინა, ამოაღებინა, დაგვათვალიერებინა, გაანალდებინა, დააჭირინა, შემოახვინა, ჩააკმენდინა, მომასმენინა, გაგატეხინა, გადააწერინა, ათარგმნინა, ალანდლვინებ, შევაწვევინებ, გამოვაგზავნინებ, მიმარბენინებდა, ასროლინებდნენ, მივატანინებდი, მახვეტინებდა, გავაგებინე, დაგვალევინე, გავათელვინო, ვაწყენინო, ამოგატანინო, გადმოვატანინოთ და მისთანა ფორმათა პოზიციას.

2. -ინ სუფიქსიან ფორმათა მარტლწერა დარღვეულია სხვა მხრივაც: კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსი სრულადა დაცული, მაგრამ დაკარგულია ზმნის ფუძისეული -ნ- თანხმოვანი. ეს ეხება -ენ, -ან სუფიქსიან და პოვნა, შოვნა, თხოვნა... ტიპის მასღარის მქონე ზმნებს.

ძევთი სამსახური მაქეს, შინაურსაც უნდა ვაწყეინო და გარეულსაცა
(გ. ხორგ.).

რაც მიწყეინებია, სულ ერთბაშად უნდა გამოვისყიდო („ცისკარი“).
შენ რომ არ გაწყეინო, ცოტა ოხრები დადიან?!

არიქა, მიშველეთ, ეს ზამთარი გამატა რაინდეთო (ლ. მრელი).

შენ ჭაჭა იქ მიატაინე ბელურას (ლ. მრელი).

შალიკოს მოვატა ინეთ (ლ. მრელი).

შარი მოუდეს, მოჯერეს ამბაკო დათხოვინეს, როგორც გამოუსადეგარი მუშა (ხ. შანშ.).

ეს შემთხვევები დიალექტური, უმთავრესად, აღმოსავლური, წარმოშობისაა.

არაა გამორიცხული აგრეთვე -ნ-ს დაკარგვა აშოვნინებს, აპონინებს, ათხოვნინებს... ფორმებში, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს ასეც: აშოვიებს, აპონიებს, ათხოვიებს... ე. ი. შეიძლება დაიკარგოს როგორც ზმნის ფუძისეული, ასევე კაუზატივის სუფიქსისეული ნ.

ბაბუა, თუ ჩემი შვილიშვილობა გინდა, მათხოვიე ფოთოლა (ო. დიაკ). ჩემმა ძმამ ქალი შეაცდინა და დამეხმარე, იქნებ ვათხოვიოთ (ო. იოხ.).

3. -ინ სუფიქსის გავლენით დაკარგულია ზმნის ფუძისეული ან კაუზატივის -ევ სუფიქსის ვთანხმოვანი შემდეგ მაგალითებში:

ხომ გათეინე მთელი ღმე? (ლ. მრელი).

მარტო ეგა ღირდა მილიონი, რომ ყელი გამოვაწეინე (გ. ხორგ).

არა, ზიქო, ამათ შევეჭმეინე ბი! (ც. კობერი).

ისევ გამოაცლეინა ცხენს ჟიპიტაურით სასე ჯამი (ც. ჩეკური).

ბუთხუზი და თეღო ბარე ორ წელზე მეტია თბილისში წაიყვანეს და ოპერაში აკვრეინებენ (ზ. ელიოზ.).

გადამახვეინე, ძია თეღო, თორემ გავთავდი კაცი, პაპიროსი გამითავდა (ლ. მრელი).

ეს ფორმებიც აღმოსავლური კილოებიდან შედის მხატვრული ლიტერატურის ენაში.

4. ზოგჯერ -ევ-ინ მაწარმოებლის წინ დაკარგულია -ავ სუფიქსისეული წინ გადასმული -ც-ც. მაგრამ ასეთი შემთხვევები არ არის დამახასიათებელი თანამედროვე ენისა.

გაგიფუჭა ვინმემ ყანა, არ აზღევინე? (ვაჟა) (=აზღვევინე).

მაგას კი მშეერს ხმუშავებდა, ან ევინე ბდაო (ვაჟა) (=ანენევინებდა).

კრინტი ვერ დააძრევინეს (ე. ნინ.). (=დააძრევინეს).

თენგიზმა მიწა ცხვირით რომ ან ევინა, ხასიათზე არა (ი. ლია.).

გაფისული ნაჭრით თეძოება მაგრად შეაკრევინა (ხ. პატარ.)
(=შეაკრევინა).

5. როგორც მე-19 საუკუნის, ისე თანამედროვე ქართულ სალი-ტერატურო ენაში ყველაზე ხშირად -ინ სუფიქსით ნაწარმოები -ავ

7. ქართული სიტუაციის გულტურის საყითხები

თემისნიშნიანი ზმნების კაუზატიური ფორმების მართლწერაა დარღვეული.

ცნობილია, რომ -ინ სუფიქსი -ავ სუფიქსიანი თემის კუმშვასი იწვევს (**ხატ-ავ** — ა-ხატ-ვ-ინ-ებ); ამის შემდეგ დარჩენილი ვ თანხმოვანიც შეიძლება დაიკარგოს. მაგრამ ა-ხატ-ინ-ებ-ს ფორმა სალიტერატურო ენის ნორმის დარღვევად ფასდება.

მაგალითები მე-19 საუკუნის მწერლობიდან:

შე აკაზ მ ი ნა თავისი ლურჯი ბეღაური (აკავი).

გა დ ა ვ ა კ ე ტ ი ნ ე კარები (აკავი).

ხოლორმ, სიკვდილის მოახლოებამ გ ა გ ვ ა ბ ე დ ი ნ ა (ვაჟა).

მაღლა ა ვ ა ხ ე დ ი ნ ე ბ (ვაჟა).

გ ა ვ ა პ ე ნ ტ ი ნ ე ბ ამ უცხოელს (ვაჟა).

ჩევნმა გაჭირებამ გ ა გ ვ ა ბ ე დ ი ნ ა წამოსელა (ს. მგალ).

ისე გ ა ვ ა გ უ დ ი ნ ე ბ შეს თავს, რომ გაძახო, ვაი, დედაჩემს დაველიეო! (ს. მგალ).

გ ა ვ ა ც ე ლ ი ნ ე ბ დ ი თ (ს. მგალ).

არ გ ა ვ ა თ ე ლ ი ნ თ იგი გონებადაკარგულ მტერს (დ. ქლდ).

თანამედროვე ქართულის მაგალითები:

ბეჭ-ავ-ს: ამან გ ა ა ბ ე ლ ი ნ ა, ლადო გუდიაშვილისათვის ეჩვენებინა თავისი ნამუშევრები (ი. რჩეულ).

გაუგებრობის თავიდან აცილების სურვილმა გ ა გ ვ ა ბ ე დ ი ნ ა, ჩევნც მივყოლობთ „ვერხვის კვალს“ („ლოტ. საქ.“).

რამ გააგულისა, რამ გ ა ა ბ ე დ ი ნ ა სეუთი უხამისო საქციელი? „თბილისა“.

ეს სითბამე ქალის განცლათა გამოხატვისა პოეზიაში მას „ცისფერყანწულება“ გ ა ა ბ ე დ ი ნ ე ს... (ს. ჩიხლ).

დუღლასი ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც ცხენს შეჭდომა გ ა მ ა ბ ე დ ი ნ ა (ვ. ჭელიძე, თარგმ.).

ბეჭ-ავ-ს: ლექსი დილით ადრე მემანქანეს გ ა დ ა ვ ა ბ ე ჭ დ ი ნ ე (გ. ჭიბლ).

მან 1897 წელს „ივერიის“ ფურცლებზე დ ა ა ბ ე ჭ დ ი ნ ა პირველი მოთხოვბა... (ს. ჩიხლ).

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში ი. გრიშაშვილის ფონდის ჩევნთეის ცნობილი ორი ბარათი მოვითხოვეთ, მემანქანეს გ ა დ ა ვ ა ბ ე ჭ დ ი ნ ე თ და იქვე ახალგაზრდებს წავუკითხეთ („თბილისა“).

ზიდ-ავ-ს: მეზობლებისათვის სამი ურემი რიყის გრილი ქვიშა მოუზიდია (გ. ზატბ.).

თვეენ მათ უნდიხართ მინდვრის საქონლიდ, რომ გახვევინონ, მოგამქევინონ, მიგა აზიდინ ნ შეშა და ფიჩი! (ს. ზანშ.).

კაზ-ავ-ს: ცხენი შეაკაზ მ ი ნ ა და მოედანზე გამოაყვანინა (გ. ზატბ.).

მასპინძელმა ტრაპეზისა და თვალის წატყუების შემდეგ ცხენები შეგვიაზიანია, გაიზიარეთ (ჭ. აზირ).

კარგ-ავ-ს: ბალზაკი ამბობდა, ერთი ღამის ტრაიალი რომანის ერთ კარგ გვერდს მაინც დამაკარგინებს (ვ. ჭელიძე, თარგმ.).

ვაი, თუ ეწყინოს და მოგება მართლა და მაკარგი ისო (დ. კახრაძე).

მაგრამ იქვეა: უფრო მეტს და გვარებები და.

კერ-ავ-ს: ერთი თვის წინათ შეაკერინა (ან. გვარ.).

ახალ კოსტუმს ვაკერინებ და მერე მეც ვიცლი (რ. ჩაჩან.).

მარტო ორ თვეში უცებ ირი ახალი პიჯარი შეაკერინა (ი. ჩად.).

ვახტანგი ნაცნობ თერთმან წაიყვანა და თავის გემოვნებაზე შეაკერინა კარგი კოსტუმი (ელ. მაის.).

ლანდავ-ს: ... კონკრეტულის ჭრეტისას უზოგადეს და გვალი დანებენ (რ. თვარ.).

ლოკ-ავ-ს: ავალოკინე (გ. ხორგ.).

ჩემი ხელით ვაჭმევდი, მარილს ვალოკინებდი (კ. გამხან.).

ლოც-ავ-ს: ღილაზე აუცილებლად უნდა შეალოცინოთ (ელ. მაის.).

ოქენენი თავი დამალოცინეთ (გ. ჭოხაძე).

მართ-ავ-ს: ვინტები უნდა გავამართონ მშედელსაო (რ. ინან.).

ეს არარ იყო უბრალო ქვის ჭვარი, რომელიც ბორდოხანმა აღამართინა კალატოზებს... (კ. გამხან.).

კვეტარის ბასტიონის ზეთავზე აღამართინა ჭვარი (კ. გამხან.).

ნაყ-ავ-ს: კაზაკები ლამირები არ ყოფილან, კაზაკი ერთ თავს ქვასანაყით აგრე იოლად არ გაანაყინებდა ვინმე დეტაქაცს (ჭ. თითმ.).

სინგ-ავ-ს: სიცებ არ გამასინჭინა (ი. ლის.).

სუნთქ-ავ-ს: როგორც იყო, ზმუილით ჰაერი ამოვასუნთქინე (დ. კასრ.).

ქლო-ავ-ს: განზრას გვეცეულა, თავისი პატრიონის ბარჩაში გადაიტუტებდა, ან ხახვისა თუ ოხრახუშის კვალს გააქელინებდა... (გ. ხორგ.).

ღუნ-ავ-ს: ექიმმა ბიჭს... ნიკარი მყერლზე დაბჭენინა, ფეხებიც მოაღუნინა და გააშლევინა (რ. ინან.).

ღუპ-ავ-ს: მაშ, დააღუპინოს უდანაშაული კაცი? (მ. შერვაშ. და რ. ორგ., თარგმ.).

ყლაბ-ავ-ს: ან სხვა უნდა გადაყლაპო, ან შენ უნდა გაღაეყლაპინო ვინმეს (თ. გავან., თარგმ.).

წირ-ავ-ს: სიცოცხლე გააწირინეს იმის იმედით, რომ ეს უკანასკნელი ომი იყო („საქ. ქალი“).

წურ-ავ-ს: სულ სიმწრის ოფლი აწურინა (გ. ხორგ.).

ჭმ-ავ-ს: ჩენენთან შემოვიდა მასწავლებელი შალეა ჭაშიაშვილი, შშვილდი შემოიტანა და ყველას სათითაოდ მოგვაჭიმინა („საქ. ქალი“).

ხარჯ-ავ-ს: დევის ორმოცდათი ცენტი ედო ჭიბეში. გავიფიქრე, არასგზით არ დავახარგინებ-მეტქი (გ. ნოდია, თარგმ.).

ხუჭ-ავ-ს: თვალებს მახუჭინებს (გ. შატბ.).

დაახუჭინებდა თვალებს (რ. ინან.).

თვალს ახუჭინებდა („საქ. ქალი“).

მშემ თვალები დაახუჭინა („ციხესარი“).

ბავშვებს უსათუოდ უნდა ავუხილოთ თვალი კეშმარიტ სილამაზეზე, სული-ერი სილამაზის უპირატესობაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვალი და ვახუჭინოთ ვარდის მშვენიერებაზე („ახ. კომ.“).

ხუხ-ავ-ს: ზედიზედ რამდენიმე ჭიქა გადავახუხინე (დ. კასრ.).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზოგიერთი -ავ სუფიქსიანი ჯმის -ინ-ით ნაწარმოები კაუზატივის უვინო ფორმები ლამის გაბატონდეს (ე. ი. აბელვინებს, აბეჭდვინებს, აკერვინებს, ახუჭვინებს ფორმათა მაგივრად აბელინებს, აბეჭდინებს და სხვ.).

წინ გადასმული -ვ- არის დაკარგული შემდეგ მაგალითებში:

ბოლოს ფადოსნური რამ სითხე შეკაზმეს, მამასახლისებს დაურიგეს, ლეშები და ა წამ ლინე ს და ხეებზე გაატანინეს (კ. გამსახ.).

ვიღრე საქმეს არ მოათვებს, არც თვითონ ჩატარება და არც ჩვენ ჩიგვა-მუხლინებს (გ. ხორგ.).

თენა სიმინდი კეხიანი ცხვირით გაამარგლინა და ახლა თოხი არ დასჭირდება (ი. ლიხ.).

ასეთ ფორმათა წყაროს უკვე მხოლოდ კილოები აღარ წარმოადგენს. ვ-ინიან ფორმათა ვერდით უვინო ფორმები თვით სალიტერატურო ენის შიგნით ჩნდება. ასეთი ფორმები შექმნილი ჩანს კაუზატივის გარკვეულ ფორმათა ანალოგით. ეს უკანასკნელები იწარმოება ისეთი ზმებისაგან, რომელთაც ვ-ს შემცველი სუფიქსი არ დაერთვის, ან სრულიად არ დაერთვის სუფიქსი (ა-შენ-ებ-ინ-ებ-ს, ა-წერ-ინ-ებ-ს).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა არც თემისნიშნისეული ვთანხმოვანია კაუზატივის ფორმაში და არც კაუზატივის მაწარმოებლისეული ნ თანხმოვანი. მაგალითად:

ახალგაზრდა ბიჭები უყურებდნენ და, ვის შეაკერია, აინტერესებდათ (რ. ჭვიშვ.).

თორმეტი ნომერი სარბენ ბილიკზე ვადაავდო, ცხვირით მიწა ვაახაზია (რ. ჭვიშვ.).

ზოგჯერ დაკარგულია თემისნიშნისეული გადასმული თანხმოვანიც:

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით, რომელიც განმეორებით დაანიშნია დავითმა... დადგენილ იქნა... (ი. ჩად.).

მმობლენენ, ლეჩენუმის წარმევისათვის იგი სოლომონ მეორემ მოაწამლია (ხ. ჭილ.).

ყველა დასახელებულ შემთხვევაში, ე. ი. როცა კაუზატივის ფორმა -ავ (აგრეთვე -ვ) სუფიქსიანი ფუძისგანაა ნაწარმოები, თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში შენარჩუნებული უნდა

იქნეს სუფიქსისეული ვ თანხმოვანი. უვინო ფორმები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის დარღვევად მიიჩნევა¹².

ამ წესს უნდა დაემორჩილოს ის ზმნებიც, რომლებსაც ისტორიულად არ ჰქონდათ, მაგრამ გაუჩნდათ -ავ სუფიქსი. ასეთებია: ბერტუავს, გარეკავს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, პენტავს, უეფავს, რეცხავს, ფეთქავს, ქექავს, წალეკავს, წეწავს, ჭედავს, ხეხავს, ხოცავს და სხვ.¹³.

რაკი ამ ზმნებს გაუჩნდათ -ავ სუფიქსი და სალიტერატურო ენის ნორმად -ავ სუფიქსიანი ფორმებია მიიჩნეული, კაუზატივის ფორმები ამ ზმნათაგან ისევე უნდა იწარმოებოდეს, როგორც სხვა -ავ თემისნიშნიან ზმნათაგან. ამ ზმნების კაუზატივის ფორმებშიც, ისევე როგორც მასდარებში, უნდა იყოს სუფიქსისეული -ვ- თანხმოვანი¹⁴. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმიდან გადახვევად მიიჩნევა აბერტუინებს, აკეტინებს, აპენტინებს, არეკინებს, არეცხინებს, ახოცინებს და მისთ. ფორმები აბერტუინებს, აკეტინებს, აპენტინებს, არეკინებს, არეცხინებს, ახოცინებს... ფორმების ნაცვლად შემდეგ მაგალითებში:

ბერტუ-ავ-ს: ხან ვის აბერტუინებდა, ხან — ვის! (რ. ინან.).

კეტ-ავ-ს: შემოვიხმე შინ და გადავაკერინე კარები (აკაკი).

იმ ოთახის კარი დაისახლის დავკერინეს („თბილისი“).

პენტ-ავ-ს: გავაპერინებ ამ უცხოელს (ვაჟა).

რეპ-ავ-ს: დაურეევ ხელავე ნაპეყბის ან მე დამარეკინე (ელ. მაის.).

აქედან დაგარეკინონ („ცისკარი“).

ბერე მეზობელს დავარეკინე („თბილისი“).

რეცხ-ავ-ს: ...უნდა გავარეცხინო, მერე დავარევევინო... (ხ. მგალ.).

ხოც-ავ-ს: ხომ არ უნდა დაახოცინოთ ერთმანეთი (ლ. მრელ.).

აი, რამდენი დამახოცია (ხ. მგალ.).

...არც ხუთი კაზაკი დაეხოცინებოდა ეგრე დედლურად ორ ვისმე (ქ. თითმ.).

მაგრამ აქვე უნდა ალინიშნოს, რომ მაინც ასეთი ფორმების მართლწერისა და ჩვეულებრივი -ავ თემისნიშნიანი ზმნების (ბერ-

12 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970, გვ. 16.

13 იქვე, გვ. 204-205.

14 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970, გვ. 205; ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გვ. 85.

ავ-ს, ბეჭდ-ავ-ს) კაუზატიური ფორმების მართლწერის დარღვევები ერთ სიბრტყეზე ვერ განიხილება.

წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ზმნები, რომლებ-საც თემისნიშნისეული ვ ბეჭრა არა აქვთ მასდარშიც. ესენია, ერთი მხრივ, კვებავს — კვება, წვეთავს — წვეთა... ზმნები, რომლებ-საც ისტორიულადაც არ ჰქონდათ -ავ სუფიქსი, მაგრამ გაუჩნდათ აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში, მასდარი კი ისევ უვინო აქვთ. მეორე მხრივ, აქვეა შემოსატანი ზმნები, რომელთა ფუძეში სუფიქსისეული ვ ბეჭრის მეტათეზისია მოსალოდნელი, მაგრამ ნარნარა ბეჭრის წინ კიდევ ვ თანხმოვნის არსებობა სუფიქსისეული ვ-ს გამოჩენას ხელს უშლის:

გადათოვლავს,	გადათოვლა — გადათოვლინებს
დამარცვლავს,	დამარცვლა — დამარცვლინებს
შემწიკვლავს,	შემწიკვლა — შეამწიკვლინებს
შემოსაზღვრავს,	შემოსაზღვრა — შემოსაზღვრინებს
განსაზღვრავს,	განსაზღვრა — განასაზღვრინებს
დალაპვრავს,	დალაპვრა — დაალაპვრინებს
გადაყავრავს,	გადაყავრა — გადააყავრინებს
მოჩინჩვრავს,	მოჩინჩვრა — მოაჩინჩვრინებს...

ასეთივეა ზმნები, რომელთა მასდარებში ბოლოკიდური ვ-ს მეზობლად თემისნიშნისეული ვ ველარ ძლებს:

ბეგვ-ავ-ს — ბეგვ-ა
თეთქვ-ავ-ს — თეთქვ-ა
კაკვ-ავ-ს — კაკვ-ა
ნასკვ-ავ-ს — ნასკვ-ა
ნერწყვ-ავ-ს — ნერწყვ-ა
რაგვ-ავ-ს — რაგვ-ა
რეგვ-ავ-ს — რეგვ-ა
რეხვ-ავ-ს — რეხვ-ა
რეგვ-ავ-ს — რეგვ-ა
სეტყვ-ავ-ს — სეტყვ-ა
ფაშვ-ავ-ს — ფაშვ-ა
ჩეჩქვ-ავ-ს — ჩეჩქვ-ა
ცეხვ-ავ-ს — ცეხვ-ა
ძარცვ-ავ-ს — ძარცვ-ა
ძირკვ-ავ-ს — ძირკვ-ა
ჯაჭვ-ავ-ს — ჯაჭვ-ა

კაუზატივის ფორმები ყველასგან -ინ სუფიქსით იწარმოება¹⁵. დასახელებული ზმნების კაუზატივის ფორმებში, მასდარის ფორმების მსგავსად, თემისნიშნისეული ვ თანხმოვანი არ ჩანს:

- ა-კვებ-ინ-ებ-ს
- ა-წვეთ-ინ-ებ-ს
- გადა-ა-თოვლ-ინ-ებ-ს
- და-ა-ბეგვ-ინ-ებ-ს
- ა-თეთქვ-ინ-ებ-ს
- ა-კაკვ-ინ-ებ-ს
- ა-ნასკვ-ინ-ებ-ს
- ა-სეტყვ-ინ-ებ-ს
- ა-ფაშვ-ინ-ებ-ს
- ა-ჩეჩქვ-ინ-ებ-ს
- ა-ძარცვ-ინ-ებ-ს
- ა-ძირკვ-ინ-ებ-ს
- ა-ჭაჭვ-ინ-ებ-ს

მსგავს შემთხვევებში, ე. ი. როცა ზმნის მარტივ ფუძეში ვ ბგერა შედის, კაუზატიური ფორმების დაწერილობის განსასაზღვრავად გამოიდგება მასდარი. თუ მასდარში ასეთ ზმნებს თემისნიშნისეული ვ აქვთ, მაშინ ის რჩება კაუზატივის ფორმებშიც. მასდარში კი მაშინაა შენარჩუნებული იგი, როცა ძირეული და სუფიქსისეული ვ ბგერები არ არიან ერთმანეთის მეზობლად. მაგალითად:

- ზეინ-ავ-ს — ზვინ-ვ-ა — აზვინ-ვ-ინ-ებ-ს
- ზვერ-ავ-ს — ზვერ-ვ-ა — ა-ზვერ-ვ-ინ-ებ-ს
- კვანძ-ავ-ს — კვანძ-ვ-ა — ა-კვანძ-ვ-ინ-ებ-ს
- კვერ-ავ-ს — კვერ-ვ-ა — ა-კვერ-ვ-ინ-ებ-ს
- კვალ-ავ-ს — კვალ-ვ-ა — ა-კვალ-ვ-ინ-ებ-ს
- ტვირთ-ავ-ს — ტვირთ-ვ-ა — ა-ტვირთ-ვ-ინ-ებ-ს
- ყვინთ-ავ-ს — ყვინთ-ვ-ა — ა-ყვინთ-ვ-ინ-ებ-ს
- ქვით-ავ-ს — ქვით-ვ-ა — ა-ქვით-ვ-ინ-ებ-ს...

მასდარი უჭერს მხარს ყიდის ზმნის კაუზატივის ფორმასაც. -ი თემისნიშნიანი, ფუძეუქუმშველი ზმნისაგან მოსალოდნელი იყო ა-ყიდ-ინ-ებ-ს ფორმა (როგორც გზავნ-ი-ს — ა-გზავნ-ინ-ებ-ს), გვხვდება კიდევაც ასე:

¹⁵ ამგვარ ზმნათაგან შხოლლდ ფქვ-ავ-ს და წვ-ავ-ს ზმნებისაგან იწარმოება კაუზატივის ფორმები -ევ-ინ სუფიქსით, რადგანაც მათი მარტივი ფუძე უხმოვნოა.

ბადე აღარ აყიდინეს შვილებმა და რძლებმა (მ. ელიოზ.).

ახლაც დამპირდა, საირანგეთში მანქანას გაყიდინებო (ელიზ. ახვლ., თარგმ.).

მაგრამ სალიტერატურო ფორმად მიჩნეულია ა-ყიდ-ვ-ინ-ებ-ს¹⁶, რასაც მხარს უჭერს მასდარის ახლანდელი ფორმა ყიდ-ვ-ა (ძველად იყო ხყიდა).

მზითვად ალბული ფულის ნაწილით აყიდვინეს კიდეც ადგილი, აყიდვინეს სახლი... (დ. კლდ.).

... რაღაც-რაღაცები მაყიდვინა (ს. მგალობ.).

მაპატიეთ, შვილებო, მაპატიეთ, მასწავლებელო, ჩემი წინდაუხედაობა, გამო მას ყიდვინეთ ეს დიდი დანაშაული („სახ. განათლ.“).

6. ცალქეა ალანიშნავი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში -ავ სუფიქსიანი ისეთი ზმნების კაუზატივის ფორმათა მართლწერის შესახებ, რომელთა ფუძეში -ვ- სუფიქსი წინ გადაისმის.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თითქმის ნორმა გახდა -ვ სუფიქსის გადასმა ლ, ნ, რ თანხმოვნების წინ, როცა ამ უკანასკნელთ სხვა თანხმოვანი ან თანხმოვნები უძლვიან. ამიტომ გვაქვს:

მარგვლა, მოკირწყვლა, მოთაფვლა, გასანთვლა, დაფურცვლა, დაცინცვლა, გაწკეპვლა, გაჭვარტვლა. მოხიბვლა...

დანიშვნა, გამიჯვნა, გასაპვნა, გადაწიდვნა, გახიჯვნა...

გაფატრა, გაშიფვრა, გაკაწვრა, შემუსხვრა, გამოღადვრა...

თანხმოვანთა თავმოყრის შემთხვევაში ნარნარა ბერასთან მეზობლობა უწყობს ხელს ვ-ს გადასმას. ეს მოვლენა სხვადასხვა მიზეზით არის ახსნილი სპეციალურ ლიტერატურაში¹⁷. ჩევნთვის საინტერესოა მხოლოდ შედეგი, რომ დასახელებულ პოზიციაში ვ გადაისმის, რამდენადაც დგება ასეთ ზმნათა კაუზატივის ფორმების მართლწერის საკითხი.

ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ სუფიქსისეული ვწინ გადაისმის მაკომბინაციაშიც: „ჩქამიერი თანხმოვნის მომდევ-

16 ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1968, გვ. 75.

17 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 358-360; გ. როგავა, ვ ბერათ მეტაოზისის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტ. შრ. XVIII, 1958, გვ. 119-125; თ. უთურგაოძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიში სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 182-183.

ნო რვ-ლვ-მვ-ნვ იცვლება ვრ-ვლ-ვმ-ვნ-დ¹⁸. მვ — ვმ გადასმა თანა-მედროვე სალიტერატურო ქართულისათვის არ შეიძლება ფაქტიად ჩაითვალოს. ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მიგნებულია ასეთ შემთხვევაში მვ თანხმოვანთა ასეთი თანამიმღევრობის ბუნებრიობა¹⁹.

დღევანდელ ქართულში გვხვდება ბეჭვდა ფორმა, რომელშიც გადასმულია სუფიქსისეული ვ თანხმოვანი ძირისეული დ თანხმოვნის წინ.

მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ ნომერში მეოთხე გვერდზე დაბეჭდილი იყო ასეთი ცნობა: „თუ განცხადების და ბეჭვდა გინდათ“ („კომ.“, № 132 — 73 წ., გვ. 4).

ეს ფორმა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიცაა დადასტურებული და უმართებულო ფორმალუა მიჩნეული (ტ. I). ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც სათანადო ფორმებია შეტანილი: ბეჭვდავს, ბეჭვდა, ბეჭდვითო, ბეჭდური...

ზემოთქმულიდან ის გამომღინარეობს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფაქტიად მიიჩნევა -ავ სუფიქსისეული ვ თანხმოვნის გადასმა, როცა მას წინ ორ- ან მეტთანხმოვნიანი კომბინაცია უძღვის ლ, ნ, რ თანხმოვნით. გადასმისათვის მნიშვნელობა არა აქვს ლ, ნ, რ-ს წინამავალ თანხმოვანს. გამონაკლისია მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა სონორს ვ ბერა უძღვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუფიქსისეული ვ აღარ ჩანს იმის გამო, რომ მოსალოდნელი მეტათეზისის ღრას ან მოხვდებოდა ერთმანეთის გვერდით, რასაც ქართული ენის ბუნება ვერ აიტანდა. ამიტომაც გადა-თოვლ-ავ-ს ზმნისაგან გვაქვს მასდარი გადა-თოვლ-ა და კაუზატივის ფორმა გადა-ა-თოვლ-ინ-ებ-ს. ასეთივე ვითარებაა შემდეგ ზმნებშიც: მარცვლ-ავ-ს, შემწივლ-ავ-ს ... საზღვრ-ავ-ს, ლახვრ-ავ-ს, ყავრ-ავ-ს, ჩინჩევრ-ავ-ს...

18 გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს დასახულებული წიგნის 360-ე გვერდზე ამ დასკვნას უძღვის მაგალითები: გარითვმა < გარითმვა < გარითმავს; დახაშვმ < დახაშვეა — დახაშმული; ბაკვმა < ბაკვა, ბაკმული; ნაღმა < ნაღმვა < ნაღმავს (გვ. 359).

19 ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, თანხმოვანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, კრებული „მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტრუქტურის საკითხები“, 1967 წ., გვ. 146-148; თ. უ თ უ რ გ ა ძ ე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტული სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, კრებული „მეტყველების ანალიზის საკითხები“, 1969 წ., გვ. 182-184; მ ი ს ი ვ ე, ქართული ენის თანხმოვანთა პარალიტული ანალიზი, „მეტყველების ანალიზის საკითხები“, IV, 1973 წ., გვ. 69-114.

ამგვარად გვექნება ასეთი ფორმები:

დაგესლავს — დააგესვლინებს, დააგესვლინა

მოთაფლავს — მოათაფვლინებს, მოათაფვლინა

ჩამოკაკლავს — ჩამოკაკლინებს, ჩამოკაკლინა

გაღმოკარკლავს — გაღმოკარკლინებს, გაღმოკარკლინა

მოკირწყლავს — მოაკირწყლინებს, მოაკირწყლინა

მონათლავს — მოანათვლინებს, მოანათვლინა

დაორთქლავს — დააორთქვლინებს, დააორთქვლინა

არეკლავს — აარეკვლინებს, აარეკვლინა

გასანთლავს — გაასანთვლინებს, გაასანთვლინა

გადაასანსლავს — გადაასანსვლინებს, გადაასანსვლინა

შეტურტლავს — შეატურტვლინებს, შეატურტვლინა

შემოფარგლავს — შემოაფარგვლინებს, შემოაფარგვლინა

დაფურტლავს — დააფურტვლინებს, დააფურტვლინა

გამოცუინცლავს — გამოაცინცვლინებს, გამოაცინცვლინა

მოწამდლავს — მოაწამვლინებს, მოაწამვლინა

დაწინწყლავს — დააწინწყვლინებს, დააწინწყვლინა

გაწეპლავს — გააწეპვლინებს, გააწეპვლინა

გაშანშლავს — გააშანშვლინებს, გააშანშვლინა

მოხიბლავს — მოახიბვლინებს, მოახიბვლინა...

გამიჯნავს — გაამიჯვნინებს, გაამიჯვნინა

დანიშნავს — დაანიშვნინებს, დაანიშვნინა

აღნიშნავს — აღანიშვნინებს, აღანიშვნინა

გასაპნავს — გაასაპენინებს, გაასაპენინა

გამოშიგნავს — გამოაშიგვნინებს, გამოაშიგვნინა

გადაწიდნავს — გადააწიდვნინებს, გადააწიდვნინა

გახიზნავს — გაახიზვნინებს, გაახიზვნინა

აჯაგნავს — ააჯაგვნინებს, ააჯაგვნინა...

გაბაწრავს — გააბაწვრინებს, გააბაწვრინა

ამოკაწრავს — ამოაკაწვრინებს, ამოაკაწვრინა

შემუსრავს — შეამუსვრინებს, შეამუსვრინა

დანომრავს — დაანომვრინებს, დაანომვრინა

შეპუდრავს — შეაპუდვრინებს, შეაპუდვრინა

გასახრავს — გაასახვრინებს, გაასახვრინა

შესუდრავს — შეასუდვრინებს, შეასუდვრინა

გადატიხრავს — გადაატიხვრინებს, გადაატიხვრინა

გაფილტრავს — გააფილტვრინებს, გააფილტვრინა

შემოფიცრავს — შემოაფიცვრინებს, შემოაფიცვრინა

დაქოჩრავს — დააქოჩვრინებს, დააქოჩვრინა
გამოღადრავს — გამოაღადვრინებს, გამოაღადვრინა
დაშაქრავს — დააშაქვრინებს, დააშაქვრინა
გაშიფრავს — გააშიფვრინებს, გააშიფვრინა
დაჩაგრავს — დააჩაგვრინებს, დააჩაგვრინა...

ასეთი ფორმები სრულად ორთოგრაფიულ ლექსიკონშია აღნუს-
ხული. იქვე წარმოდგენილი აკაზმვინებს, აგეგმვინებს, ანალმვინებს,
ალაგმვინებს... ტიპის ფორმებიც, რომლებშიც სუფიქსისეული ვ ბევ-
რის მეტათეზისი არ ხდება.

7. ცალკე საკითხად შეიძლება გამოიყოს კაუზატივის პარალე-
ლურ ფორმათა არსებობა სალიტერატურო ქართულში. მაგალითად,
ამგვარებისა:

ყლაპ-ავ ფუძისაგან კაუზატივის პარალელური ფორმებია
აყლაპ-ებ-ს და ა-ყლაპ-ვ-ინ-ებ-ს. ასევე:

სუნთქ-ავ-ს — ა-სუნთქ-ებ-ს და ა-სუნთქ-ვ-ინ-ებ-ს

ყვინთ-ავ-ს — ა-ყვინთ-ებ-ს და ა-ყვინთ-ვ-ინ-ებ-ს

წა-ი-კითხ-ავ-ს — წა-ა-კითხ-ებ-ს და წა-ა-კითხ-ვ-ინ-ებ-ს

პარალელურ ფორმათაგან აყლაპინებს, ასუნთქვინებს, აყვინ-
თვინებს... ფორმებია ნორმად მიჩნეული, ხოლო აკითხებს — აკითხ-
ვინებს ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობაა და ისინი განსხვავე-
ბულ სიტუაციებში გამოიყენება: აკითხებს (წერილს, წიგნს), მაგრამ
აკითხვინებს (რაღაცის ვიღაცასთვის). აკითხვინა — შეკითხვა მიაცე-
მინა). ამიტომ ისეთი მაგალითები, როგორიცაა „აკითხვინებდა ფსალ-
მუნს“, „უამნს აკითხვინებდა“, გაზეთს აკითხვინებდა... ფორმათა ალ-
რევად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში უნდა იყოს: აკითხებდა
ფსალმუნს, უამნს, გაზეთს.